

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიოტექნოლოგიის ცენტრის სამეცნიერო პერსონალის
დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

მთავარ მეცნიერ თანამშრომელს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:

- ✓ გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 სამეცნიერო ნაშრომისა (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალში), რომელთაგან 2 მაინც - მაღალრეიტინგულ, საერთაშორისო მასშტაბით რეცენზირებად და რეფერირებად გამოცემებში;
- ✓ არანაკლებ 3 მოხსენებით უნდა იყოს გამოსული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.
- ✓ მთავარი მეცნიერი თანამშრომელი უნდა ხელმძღვანელობდეს აქტუალურ სამეცნიერო-კვლევით მიმართულებას.

- ✓ მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 1,0 სამშტატო ერთეული; (ბიომრავალფეროვნება, ფიტოგენეტიკური რესურსის მონიტორინგი-კონსერვაცია და კულტივირება- გამოყენების ტექნოლოგიები);
- ✓ მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 1,0 სამშტატო ერთეული (მცენარეული
- ✓ ნედლეულის შენახვის ტექნოლოგია);
- ✓ მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 0,5 სამშტატო ერთეული (მცენარეთა ბიოტექნოლოგია);
- ✓ მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 0,5 სამშტატო ერთეული ((მცენარეთა ბიოტექნოლოგი).

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

- ✓ უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, აქვს 5 სამეცნიერო პუბლიკაცია წამყვან ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას 5 წლის ვადით იკავებს.

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი უნდა ფლობდეს:

- ✓ ინფორმაციას საქართველოსა და უცხოეთში მის თემატიკის ირგვლივ მიმდინარე სამეცნიერო კვლევა-ძიებების შესახებ;
- ✓ კვლევა-ძიებების ორგანიზების თანამედროვე მეთოდებსა და საშუალებებს.

უფროს მეცნიერ თანამშრომელს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:

- ✓ გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 სამეცნიერო ნაშრომისა (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალში), რომელთაგან 1 მაინც - მაღალრეიტინგულ, საერთაშორისო მასშტაბით რეცენზირებად და რეფერირებად გამოცემებში;
- ✓ არანაკლებ 2 მოხსენებით უნდა იყოს გამოსული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში;
- ✓ ხელმძღვანელობდეს ქვემიმართულებას;
- ✓ უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 1,0 საშტატო ერთეული (ს/მ მიკრობიოლოგი)
- ✓ უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 1,0 საშტატო ერთეული (ს/მ კულტურათა ტექნოლოგი);

მეცნიერი თანამშრომელი

- ✓ მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, აქვს 3 სამეცნიერო პუბლიკაციები ადგილობრივ ან საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა კონფერენციებში. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას 5 წლის ვადით იკავებს.

მეცნიერმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს:

- ✓ მისი მონაწილეობით მიმდინარე კვლევა-ძიებების მიზნები და ამოცანები;
- ✓ ინფორმაცია საქართველოსა და უცხოეთში ანალოგიური შინაარსის სამეცნიერო კვლევების შესახებ;
- ✓ მიღებული ინფორმაციის დამუშავების, განზოგადებისა და კვლევების ორგანიზების თანამედროვე მეთოდები;
- ✓ უნდა ჰქონდეს 4 სამეცნიერო პუბლიკაცია ადგილობრივ ან საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული უნდა ჰქონდეს მონაწილეობა კონფერენციებში.
- ✓ მეცნიერი თანამშრომელი 1,0 საშტატო ერთეული (ბიოტექნოლოგი, ქიმიკოსი);
- ✓ მეცნიერი თანამშრომელი 1,0 საშტატო ერთეული (ბიოტექნოლოგი, მცენარეთა დაცვა);
- ✓ მეცნიერი თანამშრომელი 1,0 საშტატო ერთეული (ბიოტექნოლოგი, ეკოლოგი);
- ✓ მეცნიერი თანამშრომელი 1,0 საშტატო ერთეული (გენეტიკა - მეთესლეობა);
- ✓ მეცნიერი თანამშრომელი 1,0 საშტატო ერთეული (ს/მ მიკრობიოლოგი);
- ✓ მეცნიერი თანამშრომელი 1,0 საშტატო ერთეული (ფიტოგენეტიკური რესურსები, ცხოველთა ფიტოკვება);
- ✓ მეცნიერი თანამშრომელი 1,0 საშტატო ერთეული (ფიტოგენეტიკური რესურსები);
- ✓ მეცნიერი თანამშრომელი 0,5 საშტატო ერთეული (ფიტოგენეტიკური რესურსები);
- ✓ მეცნიერი თანამშრომელი 0,5 საშტატო ერთეული (ქიმიკოსი)